№ 136 ივნისი 29, სამშაბათი 1893 ივნისი 29, სამშაბათი № 136

# ივერია


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიმართონ: რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანტოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. ჭავჭავაძის სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 1 ივლის**


წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ისყიდება

**კრილოვის არაკები**

თარგმანი

აკაკი წერეთლის-მიერ

ფასი 30 კ. უდით 40 კ.

ეს წიგნი მოწონებულია კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველის რჩევისაგან შესაძენად სამასწავლებლო და სამოსწავლო ბიბლიოთეკებისათვის საშუალო და დაბალ სასწავლებლებში და აგრეთვე მიღებულია ხელ-საწყობად ქართულის ენის სწავლებისათვის იმავე სასწავლებლებში. ვინც ერთად დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა—დაეთმობა 20%.

(5—2)


## დაუჯერებელი მიზეზი რუსეთის დამშევისა

Მრავალი რამ დაიწერა და ითქვა რუსეთის შარშანწინდელ შიმშილის გამო. თითოეული გამომკვლეველი ამ საგნისა თავისებურად ხსნიდა ამ საქვეყნო უბედურებას და საკუთარს რჩევას აწოდებდა საზოგადოებას. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიაც ისევ შეცდომა მოუვიდათ ამ ურიცხვთა მკვლევართა და სწავლულთა.

როდესაც რაიმე განსხვავებული ამბავი მოევლინება ქვეყანას, ყველას, ვისიც სპეციალობა არის საზოგადო ცხოვრების გაირჩევა და დაფასება, იმ წამსვე ერთი რომელიმე აზრი დაებადებათ გონებაში და ჰფიქრობენ, რომ მხოლოდ ეს აზრი არის შეურყეველი ჭეშმარიტება და ყოველთა მიზეზთა მიზეზი ამ აზრზედ უნდა იყოს დამოკიდებულიო.

რასაკვირველია, ურიცხვ მწერალთა შორის მოიძებნებიან ისეთნიცა, რომელთაც ნათლად ესატებათ ნამდვილი მიზეზები, რომლისამე მდგომარეობისა, მაგრამ წიგნთა და გაზეთთა ხაოსში ამ გონიერთა ხმა და ნაწერი სრულიად იკარგება და იბნევა.

ცხოვრება ერისა ერთობ რთულია, და თითოეულს შემთხვევას და მოვლინებას, ყოვლად შეუძლებელია, რომ მხოლოდ ერთი და ორი მიზეზი ჰქონდეს. ავიღოთ თუ გინდ ხალხის დამშევის საქმე. აქ ათასი და ათი ათასი მიზეზია, რომელსაც, თუ არა თანასწორი, ყოველ შემთხვევაში მეტნაკლები მნიშვნელობა მაინცა აქვს. ხალხის შიმშილში პირველი წილი უდევს ბუნების მოვლინებას და სამეურნეო ცოდნის ნაკლებობას, ნიადაგს, გზებს, ეკონომიურს გმაყოფილებას ერისას, წესსა და წყობილებას ქვეყნისას, პოლიტიკას და მრავალს სხვა მიზეზებსა. ევროპიელ მწერალთა შორის, რომელთაც მიიქციეს საზოგადოების ყურადღება რუსეთის შიმშილის გამოკვლევით, პირველი ალაგი უჭირავს გერმანიის ლიტერატორს სამსონ ხიმელსტერნს. ამ მწერლის წიგნი, რუსეთის შიმშილზე იმ ზომამდე საყურადღებოდ მიუღიათ გერმანიაში, რომ ყველა ბიბლიოთეკებში იპოვება ეს წიგნი, როგორც სამეცნიერო სახელმძღვანელო რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობის შესასწავლად.

უმთავრესს და ერთად ერთ მიზეზად რუსეთის დამშევისას ხიმელსტერნი სთვლის „ზნეობის სიმცირეს რუსეთში, რომლის გამო თავად-აზნაურობამ და გლეხობამ ვეღარ გაიკვლია გზა და დაიბნა ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ. ეკონომიური დამცირება არის მხოლოდ შედეგი ზნეობის დამცირებისაო“.

„რუსეთის ინტელიგენტმა თუმცა მიიღო ევროპის განათლება, მაინც მას არა აქვს ზნეობრივი აზრი და ტაქტი, რომელიც არის შედეგი მხოლოდ აღზრდისა, შთამომავლობისა და პირადის განვითარებისა“. შემდეგ ამ უცნაურის შეხედულობისა, გერმანიის მწერალი შეეხება რუსის გლეხთა მდგომარეობას და ამბობს: „მათში არავითარი საერო თვისებანი აღარ მოიპოვება, ძველი კეთილი ჩვეულებანი უკვე მოისპო და, გარდა ფულის შეძენისა და მაგარ სასმელის დალევისა სხვის ხარჯზე, ეხლა რუსის გლეხს სხვა აზრი არა აქვს-რაო. თუმცა რუსეთის მწერლები ქვეყნის ყოველს უბედურების მიზეზად ბატონ-ყმობას სთვლიან, მაგრამ ეს მართალი არ არის, რადგანაც ავსტრიაში მხოლოდ 14 წლის წინად იქმნენ გლეხნი განთავისუფლებულნი, ვიდრე რუსეთში, და, მაშასადამე, ბატონ-ყმობა აქ არასფერს შუაში არ არის. მემკვიდრეობითის სიბრმავის გამო, რუსები ვერა ჰხედავენ თავის ნაციონალურ ნაკლულევანებასაო“, დასძენს სასტიკი ავტორი.

ჩვენ აქ საგანგებოდ მოვიყვანეთ გერმანიის სახელგანთქმულის მწერალის სიტყვები იმის დასამტკიცებლად, რომ ის ლიტერატორნიც, რომელთაც მთელი ქვეყანა იცნობს დანიჭიერათა სთვლის, ისინიც-კი ხშირად თავისებურად ხსნიან და განმარტებენ ცხოვრების რთულს მოვლინებათა... ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ დღევანდელი გამწვავებული პოლიტიკური მეტოქეობა გერმანიისა და რუსეთისა, დიდად უშლის ამ ორის ქვეყნის მწერალთა ჭეშმარიტი და სავსებით უანგარო აზრი გამოსთქვან ერთმანეთზედ. იმის შემდეგ, რაც მწერლობას სასყიდელი დაედვა და ყოველ საზოგადოებისათვის მოსაწონი სიტყვა ოქროს ფასად ისყიდება—წმინდა მნიშვნელობა მწერალთა მოისპო და ეხლა ძვირად-ღა მოიპოვება სადმე უანგარო ლიტერატურული მოღვაწე. განათლებას, სხვათა შორის, ეს თანამედროვე მწერლობის გახრწნაც მოჰყვა და კაცობრიობა კიდევ მრავალს ამისთანა სიურპრიზებს იხილავს, თუ რომელმამე უეცარმა კატაკლიზმმა ძირეულად არ შეარყია ევროპის ესრედ-ქებული კულტურა.

მეველე

## ახალი ამბავი

*** გუშინ საღამოს 8-ნ აივაზოვის აფთიაქს, ერევნის ქუჩაზედ, ქალაქის სახლში, სადაც ქალაქის საბჭო და გამგეობაა, ცეცხლი წაეკიდა. ცეცხლი სარდაფში გაჩენილა, წამლებმა იფეთქეს ძურმე ერთბაშად და მერე თვით აფთიაქსაც და გამგეობის კანცელარიასაც მოედო ცეცხლი მაღაზიებიდგან საქონელი გამოზიდეს და გამგეობის კანცელარიაც დააცალიეს. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერ არ გამორკვეულა.

*** ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ამა წლის პირველ ოთხ თთვეს სტავროპოლის გუბერნიაში ჭირისაგან მომკვდარა 5,615 სული საქონელი და მოუკლავთ 1,052 სული. ამავე დროს ყუბანის ოლქში მომკვდარა 1851 სული საქონელი და თერგის ოლქში—554 სული.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მმართველობამ გამოსცა XVI წიგნი „კრებულის მასალებისა კავკასიის ადგილებისა და სხვა-და-სხვა ტომების აღწერისათვის“.

ამ წიგნში მოთავსებულია აღწერა ჩრდილოეთ კავკასიისა, ყუბანისა და თერგის ოლქებისა და სტავროპოლის გუბერნიისა.

*** სავაჭრო პოლიციის უფროსმა ზედამხედველმა შ. ბილანიშვილმა 26 ივნისს ქალაქის მოურავს მიართვა ქაღალდი, 1 ივლისიდგან სამსახურს თავს ვანებებო.

*** ამ დღეებში ტფილისში მოინათლა ერთი ურია, რომელიც მოვალე იყო ტფილისიდგან წასულიყო 1 ივლისამდე. ახლად მონათლულმა აირჩია სომეხთ-გრიგორიანთა სარწმუნოება.

## ფელეტონი

### ქართველთა შორის

დალოცვილი სიჩუმის კალთა.—შავი დრო.—ჩვენი დიდება.—ნიკოლოზ ბარათაშვილი.

დროებითი ბედნიერება ქონდრის კაცებისა სწორედ შესაშურველია. სიჩუმის კალთა მოწყალებასავით გადაეფარა მათს მოქმედებას, მათს საქციელს, მათს სიტყვას. ღვთისწყალობა გქონდეთ, ჩვენ ბევრჯელა ვცადეთ ამ ქონდრის კაცებისა და კაცუნების ვინაობა დაგვენახვებინა ქვეყნისთვის, არ მოგვეკლო შესაფერი ქება-დიდება, მაგრამ, რა გაეწყობა, ბედი ეხლა იმათკენ გადატრიალდა—რასაც უნდათ, ჩაიდენენ, როგორცა ჰსურთ, ისე შეირცხვენენ თავს და შეარცხვენენ ქვეყანას, ხოლო ქვეყანამ, თუ ისურვა მათზედ ხმის ამოღება, უნდა გუნდრუკი უკმიოს, მეტი ღონე არ არის, თორემ მაშინვე აფრიალდება დალოცვილი სიჩუმის კალთა, და მთელი თქვენი შრომა ჩაილულის წყალს მიეცემა დასავიწყებლად. მართალია, ჩინებული კიდო გამოვიდოდა, თუ-კი მოსახერხებელი ყოფილიყო ამ ქონდრის კაცების ანუსხვა და შეკუნწვლა, მაგრამ რას იზამთ. დეე, აღსრულდეს ნება მომავლინებელთა მათთა, და ჩვენც დროებით გამოვეთხოვოთ ქონდრის კაცებს. ისინი მაინც ქონდრის კაცებად დარჩებიან, ბაყაყი ლომად ვერ გარდიქმნება, ინდოური არწივად, ბ-ნი ხომლელი კრიტიკოსად, ბ-ნი გ. წერეთელი პუბლიცისტად, თავ. ი. მაჩაბელი საზოგადო მოღვაწედ, დეკანოზი ღამბაშიძე ლიტერატორად და სხვანი. მაშასადამე, ერთხელაც გამოიდარებს, და ყველას აეხდება პირბადე. მოვიცადოთ.

მანამდე-კი მოვიგონოთ დარჩომილი ვალები, რომელთა გადახდა, ადრე იქმნება თუ გვიან, ჩვენს პირდაპირ მოვალეობად მიგვაჩნია. ერთი ამ ვალთაგანი და თანაც ყველაზედ უწმინდესი გახლავთ გამოცხადება საზღვარ დაუდებელის თაყვანისცემისა, რომელსაცა ვგრძნობთ ჩვენის დაუვიწყარის პოეტის ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათაშვილის მიმართ. 25 აპრილს გადმოვასვენეთ ჩვენთვის ძვირფასი ნეშტი ამისი და დღემდე დრო ვერ ჩავიგდე ხელში, რომ მეც ჩემის მხრივ ჩემი მცირე ხმა შემეერთებინა მთელის ჩვენის ქვეყნის ლიტანიასთან, რომელიც გამოიწვია ქართველთა პატივისცემამ, თუმცა-კი დაგვიანებულმა, დიდებულის პოეტის მიმართ. მთელი ჩემი ყურადღება მიიპყრო იმ წრეს გარეშე გასულმა ცპიერებამ, თითლიბაზობამ, ჭორიკანობამ, ცილის წამებამ და სხვა ამისთანა დაცემამა და წაქცევამ ჩვენის საზოგადოებურ ზნეობისამ, რომელმაც საზიზღარად იჩინა თავი ამ წლის დასაწყისისათანავე და გაუცუდა იმედი ბევრს მათგანს, ვინც თავის პირადს მხნეობას ერთგულად ანდომებს სამშობლო ქვეყნის გაძლიერებას. ახალი ჭირი გაუჩნდა ქვეყანას და ახალი იარაღი მოგვთხოვა ბრძოლისა, მაგრამ მოიცადეთო, გაჩუმდითო—გვეუბნებიან, და ჩვენც გავუჩუმდეთ. ეგების ჭირმა თითონვე ამოიჰმოს თავი...

**

გარნა მარტო ნიკოლოზ ბარათაშვილის გახსენებაც საკმარისია, რომ მოკეთე ჩვენის სამშობლოსი არ მიეცეს სასოწარკვეთილებას, გაიმხნევოს უდიდესისა და უმაღლესის სიყვარულით თავის ქვეყნის მიმართ და ჩვენის აღფრთოვანებულის პოეტის ანდერძი დაიმარხოს ღრმად გულის სიღრმეში. მართლაც, თუმცა ჩვენის ქვეყნის განვითარება ძრიელ ფეხ-მძიმედა სდგამს ნაბიჯს წარმატებისას და ეს ფეხმძიმობა უხუთავს სულს ყველას, ვინც-კი ცნობიერად ჩაჰბმია ძველს სამშობლოს კეთილ-დღეობისას, მაგრამ მაინც ბეჯითი და ერთგული მოდარაჯე ქართველთა ცხოვრების მაჯის ცემასა უეჭველად შეატყობს, რომ ჩვენი ხალხი ნელ-ნელა ეთხოვება და ანებებს თავს დაუსრულებელ ძილსა, ნელ-ნელა იფშვნეტს თვალებს და ცოტ-ცოტათი იჩენს ყოვლად შემძლებელ ცნობიერებას ავ-კარგიანობის გასაგებად...

იყო დრო, ამ ორმოცდაათის—სამოცის წლის წინ, როდესაც ჩვენი ცხოვრება ისეთს სიბნელეს მოეცვა, რომ ქართველ ხალხს თავბედისა აღარა გაეგებოდა-რა და გარემოებიდან თავ-ბრუ დასხმული, უპატრონოდ დარჩომილი, იდგა უბსკრულის ნაპირას, სადაც საკმარისი იყო ერთი ღონიერი დაბერვა სასტიკის ქარისა, რომ ეს პატარა ხალხი, ერთიან გაყუჩებული და გარინდებული, სამუდამოდ გადავარდნილიყო ამ უბსკრულში, დაეკარგნა თავისი იერი, თავისი ისტორიული გზა, თავისი ძალ ღონე ქონებრივი, გონებრივი თუ ზნეობრივი, და სწრაფად ჩაექრო ლამპარი, რომელიც საუკუნოების განმავლობაში მაღლა ჰქონდა ამართული და ინათებდა თავის ეკლიან გზას. საშინელი იყო ის დრო ჩვენთვის. ქართველ ხალხს არა ჰყვანდა დროების შესაფერებელი განათლებული საზოგადოება, რომელსაც შესძლებოდა გამოერკვია მაშინდელი გარემოებანი და მიეგნო იმ გზისთვის, რომელსაც უნდა დაეხსნა ერი დაღუპვისაგან. არ მოგვეპოვებოდა მწერლობა, რომელიც კვალში სდგომოდა ცხოვრების ავ-კარგიანობას და ეჩიჩინნა ხალხისთვის, როგორი საზოგადო მოქმედება იყო იმ დროს უფრო საჭირო და რას უნდა მოჰრიდებოდა იგი. შეშინებული მითი, რომ ჟამთა ვითარების ჩარხი უკუღმა დატრიალდა, ჩვენი მაღალი საზოგადოება იმას-ღა ცდილობდა, რომ თ-ვისი საკუთარი კეთილ-დღეობა მაინც როგორმე დაეცვა, ქვეყნის დარდი და ბორკი კი მას აღარ ეპიდებოდა გულზედ.

*** ჩვენ მოგვივიდა მე-6 ნომერი სამეურნეო ჟურნალისა „მეურნე“ 18 თიბათვის თარიღით. ამ ნომერში სამი წერილია დაბეჭდილი. პირველი წერილი: „როგორი სამეურნეო სასწავლებელი გვინდა,“ დამთავრებული არ არის. მეორე წერილი „ვაზის ობი და მისი წამლობა,“ ეკუთვნის აგრონომს თ. ივ. ზ.—ძეს ანდრონიკაშვილს, მესამე წერილია „ნაცარი“ (Oidium Tuckori) პ. ყ—ნისა.

*** ცხინვალი: მთავრობის განკარგულებითა და აქაურის ბოქაულის ჩაგონებით, დაიდგეს ბეღლები ორმა სამამასახლისომ: დგვრის-თამარაშენმა და კეხვ-ქურთა-აჩაბეთისამ. ბეღლებში შეიტანეს 1892 წლის პური 780 ფუთი. აქედამ გაჰყიდეს 386 ფუთი, ფუთი 80 კაპ. ფული მაზრის უფროსს ჩააბარეს შესანახად, სადაც ჯერ არს. ბეღლები დაუჯდით 600 მანეთად. მოახერხეს-კი ეს საქმე, მაგრამ ძალიან-კი გაუჭირდა გლეხ-კაცობას. მხოლოდ იმითი ნუგეშობენ, რომ, თუ დღეს გაგვიჭირდა, მერე დაგვილხინდებაო.

*** ქვიშხეთი (გორის მაზრა): აქეთკენ საკმაოდ გრილოდა ამას წინად; გრილოდა-კი არა, კიდეც ციოდა და წვიმებიც ხშირად იყო. ჭირნახულები ნაგვიანევია, თუმცა ურიგო მოსავალს არ მოელიან. ვენახებს მშვენიერად ასხია, ხილი-კი სულ არ არის; ასე ხილის გაწყობაც არ გაგონილა: სიცივემ გააფუჭა ხეხილი იმ თავითვე.

*** სოფ. გერგეტი (ბორჩალოს მაზრა): ამ დღეებში გუმბრის გზაზედ 6 შეიარაღებული კაცი დაეცა მგზავრებს და ყველანი გაძარცვეს. ამბობენ, ამ კაცებს მთელ დღის განმავლობაში 50 მგზავრი გაუძარცვამთო.

*** „Нов. Врем.“-ს შეუტყვია, რომ სატეხნიკო კომისიამ შეიმუშავა პროექტი ახალის ტიპის დედათა სახელ-საქმო ორ-კლასიან სკოლებისაო. ამ სკოლებში ასწავლიან, მოსწავლის სურვილისამებრ, ხელსაქმის მაშინაზედ მუშაობას, ჭრა-კერვას, ნაკერქსოვილობას, მკერვლობას, წიგნების დაკაზმვას და სხვა... მთელი კურსი ორ-წლოვანი იქნება. ამ გვარ სკოლების დაარსება-დამართვა შეეძლებათ, როგორც საქალაქო დაწესებულებათ და საქვეყნო მედო საზოგადოებათ, ისე კერძო პირთაც. ამასთანავე საერო განათლების სამინისტროც დაეხმარება ამ სკოლებს თითოს 1,000 მანეთითაო.

*** 28 ივნისს პოლიციის მეცხრე ნაწილში დარია ოზეროვის საროსკიპოში რევოლვერით თავი მოიკლა სერბიის ქვეშევრდომმა ცუდი ყოფა ქცევის 18 წლის ქალმა მარიამ ბრეუსოვმა.

## მთავრობის განკარგულებანი

ქუთაისის ოლქის სასამართლოს კანდიდატი ხაბურზანია, რომელიც იმყოფებოდა შორაპნის მომრიგებელ მოსამართლესთან, გადაყვანილ იქმნა სამწრის მომრიგებელ მოსამართლეს განყოფილებაში.

სასამართლოს ბოქაულის თანამდებობის ამსრულებელნი გიორგი ხუთულაიშვილი დვინის სამოსამართლო განყოფილებიდგან გადაყვანილ იქმნა ქიურდამირის განყოფილებაში; სოლო ქიურდამირის ბოქაული ბაქრაძე გადაყვანილ იქმნა დვინის განყოფილებაში.

## დავით გარესჯის უდაბნოს გუჯრები

(შემდეგი *)

№ 24. „ქ. ნეტარებით ხსენებულს დედოფალს ელენეს ნაკლულაშვილის პავლესათვის და დომეტისათვის თავის მოსახსენეგლად აღაპი დაუდვია, რომ თვალზედ პეტრე-პავლეს ეკკლესიში უნდა მიეტანა მოციქულთ დღესასწაულის დღესა; და ის პავლე და დომეტიც წინამძღვრის ონოფრესათვის მიებარებინა; და იმათ მამულის ახლოს მონასტრის ბეითალმანი არის, ისიც იმათთვის მიეცა წინამძღვარს ონოფრეს. შემდგომ ბასილ ხუცესმა ცხებულს მეფეს, ნეტარებით ხსენებულს თეიმურაზთან უჩივლა და მეფეთ წიგნები მიართო, რაც ამაში სწერია, მეტს მიმსახურებენო. ბატონმა უბძანა, რაც არა სდებიათო, იმის მეტს ნუ იმსახურებთო. ბოდბელმა მოახსენა: ერთი ბეითალმანი მონასტრისა უჭირავთო, მისთვის ვიმსახურებთო. წახან რაც აძეს, იმის მეტს არ მსახურებს მონასტერს, ის ბეითალმანი კი დადვასო, და ჩამოართო. მერე ბასილ ხუცესი დაიკარგა, იმის ძმა პეტრე შეეხვეწა ბოდბელს იოანეს. მაინც თქვენი ვართო, ის ხუცესი დაიხსენითო და მამული თქვენ მიირთვითო. დაიხსნა. როდესაც რომ მოვიდა ის ხუცესი, ბოდბელმან ის თავისი მამულიც ისევ მისცა და მონასტრის ბეითალმანიცა. როგორც ბოდბელის მიცემული წიგნი აცხადებს, ამ პირობით მისცათ, როგორც ერთი მონასტერს ემსახუროსო, ისე თქვენ ემსახურეთო მონასტერსაო. ბოდბელი დავით ჩემის ხელით ვსწერ, ზოგი წინანდელი გამიგონია და ზოგს ახალს თანდამსწრე ვარ, აგვისტოს იზ: ქორონიკონსა უო“—1782 წ. [ბოდბელი დავით.]

„ქ. როგორც მისს ყოვლად სამღვდელოების ბოდბელ მიტროპოლიტს დავითს უმოწმებია ამ წერილით, მეც ასე ვმოწმობ, ზოგი გაგონებით და ზოგი დასწრებით მინახავს. მდაბალი მიტროპოლიტი ტფილისისა, სეკდემბერს ბ, წელსა ჩღპბ [გერმანე].

„ქ. როგორც მისს ყოვლად სამღვდელოობას ბოდბელ მიტროპოლიტს დავითს უმოწმებია ამ წერილით, ჩვენც ასე ვმოწმობთ, ზოგი გაგონებით და ზოგი დასწრებით მინახავს. ნინო წმინდელ მიტროპოლიტი, სეკდენბრის ბ წელსა ჩღპბ [საბა.].

იოანე ბოდბელი—1752—1787 წ. ჯორჯაძე. დავით—1746—1789 წ. თ. ვარჩნაძე. ტფილელი გერმანე —1782—1790 წ. ნინო წმიდელი საბა—1745—1784 წ. ტუსიშვილი. ელენე დედოფალი არის მეუღლე მეფე იესესი და დედა ანტონ კათალიკოზისა, ასული მეფის ერეკლე 1-სა. ონოფრე წინამძღვარი, მაჭუტაძე 1692—1720 წ.

პ. ცხვედელი

*) იხ. „ივერია“, № 135.

## მაწანწალა

(ე. დოდე)

### I

დილის თერთმეტი საათია. გაკაშკაშებულ მზის სხივები მოჰფენია მთელს სასაფლაოს. სრული სიჩუმეა. მხოლოდ ეკკლესიიდგან მოისმის მუსიკის სევდიანი ხმა. ერთს საფლავთან ბალახზედ წევს კაცი, ჭუჭყიან დაფლეთილ ძონძებში გახვეული. ეს კაცი გლახაა, მაწანწალა. ეტყობა, სასაფლაოზედ დასასვენებლად მოსულა. სახე უმტკიცებს, რომ ჯერ ისე ძლიერ მოხუცი არ არის, მხოლოდ სიღარიბეს, დარდსა და ვარამს უდროოდ დაუბერებია. ძილშიაც-კი არ არის მოსვენებული. სძინავს და ძილშიაც ოხრავს და გმინავს. მაგრამ დატანჯულ კაცის ოხვრა და გმინვა არავის ესმის.

### II

სასაფლაოს გალავანთან გამოჩნდა ახალგაზრდა ქალი. შავი კაბა უმშვენებს მოხდენილს ტანსა. თავს ახვევია შავი ბლონდი. ეტყობა ობოლი უნდა იყოს. ახალგაზრდაა, უმანკო, მაგრამ დარდს უკვე დაუტყვია სახეზედ თავისი ნიშანი. სწორედ იქითკენ მოდის, სადაც მაწანწალასა სძინავს, უცებ დაინახა მწოლიარე კაცი, შეეშინდა და დაიკივლა. მძინარე კაცს ქალის ხმა არ ესმის. ქალი დამშვიდდა, მიუახლოვდა მწოლიარე კაცს და, რა ნახა, რომ საბრალოს ჩასძინებია, ხელი მოჰკიდა მხარზედ.

— Monsieur!

კაცი არ იძვრის.

— Monsieur! Monsieur!

— რა გინდათ ჩემგან?

— თუ შეიძლება, აღექით და სხვაგან სადმე დაიძინეთ. მე მსურს ამ ალაგას მუხლი მოვიყაროთ.

— აქ რაღა არის? სხვაგან ვეღარ მოიყარეთ მუხლი? ან მაგისთვის რად მაღვიძებდით?

— აქ საფლავია დედაჩემისა.

მაწანწალა წამოდგა და მიიხედ-მოიხედა. თვალ-წინ ჯვარი დგას, ზედ აწერია:

„აქ [illegible]

მაწანწალა უცბად წამოხტა ფეხზე და მღელვარებისაგან აკანკალებული ხმით ჰკითხა:

— თქვენ შვილი ხართ მადლ[illegible] ლესკოსი? ჟანნაა თქვენი სახელი!

ჟანნა შეკრთა მოულოდნელის კითხვისაგან.

— იცნობდით თქვენ დედა ჩემს? —იკითხა თავის მხრივ განცვიფრებულმა ჟანნამ.

— მე?.. არა... ჰო... ვიცნობდი ცოტად. ჯერ ახალგაზდა ვიყავ. ჯარში წამიყვანეს. ცოტას ხანს ვიდექ ომის დროს მადლენას სახლში. მალე წაგვიყვანეს ბრძოლის ველზედ და გამოვეთხოვე იმათ. რასაკვირველია, მალე დამივიწყეს. მაგრამ მე-კი მახსოვს მათი პურ-მარილი... ილოცე, შვილო, და მაპატიე, რომ აქ ვიწექი.

მაწანწალა მოშორებით ქვაზედ ჩამოჯდა და ღრმად დაფიქრდა.

ჟანნა ლოცულობს. მაგრამ მაწანწალა იქვე ახლოა. რაღაც უცნაურად შესცქერის. ჟანნას აგონდება მოულოდნელი კითხვა მაწანწალასი, ლოცვა შესწყვიტა და წასვლას აპირებს.

— ნება მიბოძეთ გთხოვოთ, თან წამიყვანეთ და მაჭამეთ რამე. ძლიერა მშიან. დიდი ხანია არა მიჭამია.

— აჰ! წამოდით, წამოდით, —ეძახის ჟანნა.

### III

ეხლა მაწანწალა პატარა სუფთა ოთახშია. წინ უდგას პური, კარაქი, ყველი და შინაური ღვინო. მცირე სუფრაა, მაგრამ მშიერ-მწყურვალ მაწანწალასთვის ჩინებული სადილია. ხარბადა სჭამს მაწანწალა. ჟანნა იქვე სდგას ჩუმად. დიდი ხანი არ არის, რაც ჟანნას ეშინოდა ამ კაცისა. ეხლა აღარ ეშინიან, რადგანაც მაწანწალა ხანდახან ისე ალერსიანად შეხედავს ხოლმე, როგორც მამა საყვარელ შვილსა. მოიკლა სიმშილი და წყურვილი და ჰკითხა:

— დიდი ხანია, რაც დედა თქვენი

---

იმ ბნელ დროს მოიპოვებოდა ბევრი ძვირფასი ნაშთი ძველის მწიგნობრობისა, სადაცა ვხედავთ ფრიად შესანიშნავ პოეზიას, ღვთის-მეტყველებას, ისტორიულ მასალას, მაგრამ ამისთვის ვიღას ეცალა მაშინ, როდესაც დანა ყელთან იყო მისული და ხალხს ესაჭიროვებოდა ჟამთა სიავის შესაფერებელი კითხვები და პასუხები... ერთის სიტყვით, პირველი ოცდაათი წელი ამ საუკუნისა ისეთი დრო იყო ჩვენის ცხოვრებისთვის, რომ ქართველ ხალხს არსად-ღა უჩნდა გზა საკუთარის უნარით შეენახა თავისი თვითარსებობა, თავისი ეროვნება. აკი ვამბობ, მაშინ საკმარისი იყო ერთი ღონიერი დაბერვა სასტიკის ქარისა, რომ სრულებით გაექარწყლებინა ჩვენი სასიქადულო წარსული, აღეგავნა დედამიწის პირიდგან ყოველივე ის, რაც ჩვენთვის ძვირფასი იყო მუდამ, არის დღეს და უფრო შეიქმნება ამას იქით. მაგრამ საბედნიეროდ მოჰხდა ისე, რომ ქართველი ხალხი, თითქმის მისდა უნებურად, მისდა ხელ-გაუქნევლად, გადურჩა იმ საშინელს დროს. მერე ხომ თან-და-თან აღმოჩნდნენ ქართველთა შორის ისეთნი გვამნი, რომელთაც დაინახეს, რომ ჩვენი ალსასრულის ჟამი არ გადაწყვეტილა და, მაშასადამე, ეგება კვლავ მოსახერხებელი შეიქმნეს ფეხზედ წამოდგომაო. ნელ-ნელა აღიძრა სურვილი მაშინდელ ჟამთა ვითარების შეგნებისა, და ამას მოჰყვა გამოკვლევა იმ გზისა, რომელსაც უნდა დასდგომოდა ქართველი ერი, რათა შექმნილიყო მოზიარე მსოფლიო წარმატებისა. აღიძრა კვლავ სიყვარული სამშობლოსი და ზნეობრივი მოვალეობა წინაშე მისა. ამოიდგეს ენა ჯერ ქართველმა პოეტებმა და შემდეგ ნელ-ნელა დაარსდა მწიგნობრობაც.

**

მართალია, ქართული მწერლობა ამ საუკუნისა ვერ არის ჯერ იქნობამდე განვითარებული, რომ ჩვენს თანამემამულეს, რომელმაც სამშობლო ენის მეტი არა იცის-რა, შეეძლოს მოიკლას წყურვილი სამეცნიერო და სალიტერატურო ცნობის-მოყვარეობისა, მაგრამ მაინც ჩვენს მწერლობაში დღეს შევხვდებით უკვე რამდენიმე ძვირფასი სალიტერატურო და სამეცნიერო ნაწარმოები, რომლითაც თავს მოიწონებდა თვით დაწინაურებული ლიტერატურაც-კი. ამ ნაწარმოებთა შორის, უეჭველია, პირველ ადგილს დაუჭერს ცნობიერი და მართალი კრიტიკა ძვირფას ქნარს ნიკოლოზ ბარათაშვილისას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქნარი შესდგება სულ ერთის პოემიდგან და ათიოდე პატარა ლექსიდგან, და დაუჭერს იმიტომ. რომ ეს პოემაცა და ლექსებიც აღბეჭდილნი არიან უტყუარის ნიშნით მათის ავტორის გენიოსობისა, რომელიც საგნებოდ არის შეერთებული სამშობლოს სიყვარულის მხურვალე გრძნობასთან. მაშინ-როდესაც ჩვენი გზა არეული სამშობლო გაუ ებარის სიმხ არეულით, სააშიკო ლექსებითა და მათის სიმღერის მოთქმით მიესწრაფოდა თავის დაღუპვისაკენ, როდესაც თითქმის დაკარგული იყო ჩვენში ცნობა ქართველთა ერთობისა, როდესაც ჩვენმა ცხოვრებამ წამოაყენა გასაშტერებელი ნიმუში რუსეთუმესი, რომელსაც უარი ეყო თვით ქართველობაზედაც-კი, იმ წყვდიადში სწორედ ასეთი გენიოსი უნდა გამოსჩენოდა ქვეყანას, როგორიც იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომ ეს ქვეყანა კვლავ გონს მოსულიყო; სწორედ ისეთი მარტივი, შნოიანი და ძლიერი ენა უნდა ალაპარაკებულიყო, როგორიც აალაპარაკა ჩვენმა დაუვიწყარმა პოეტმა, რომ ქართველს კაცს კვლავ ეგრძნო თავისი ქართველობა და ქართველობით კვლავ თავი მოეწონებინა; სწორედ ისეთი მწუხარება და სულის კვეთება უნდა განეზიარა ჩვენთვის ჩვენს უდიდესს თანამემამულეს, რომ ქართველობას გაჰხსენებოდა თავისი წარსული დიდება და გაღვიძებულიყო მასში დაუშრეტელი წყურვილი ამ დიდების მობრუნებისა და აღდგენისა.

ჩვენ თავის დროზედ გვექნება შემთხვევა გადავათვალიეროთ ის ძვირფასი განძი, რომელიც დაუტოვა ნიკოლოზ ბარათაშვილმა ჩვენს სამშობლო ლიტერატურას და სიტყვიერებას, მხოლოდ დღეს ვიტყვით, რომ ქართველთა საეროვნო საზოგადოებურ გამოფხიზლებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის დიდებულს პოეტს ნიკოლოზ ბარათაშვილს. ამ ჭეშმარიტებას დამტკიცება აღარ უნდა. ის ძლიერი გრძნობა მადლობისა, რომელიც გამოხატა ქართველობამ 25 აპრილს, როდესაც ამერ-იმერნი ერთად მუხლს იდრეკდნენ ძვირფასის ნეშტის წინაშე, როდესაც მთა და ბარი ალტაცებაში იყო, რომ საქართველოს უკეთესის შვილის ნეშტი გადმოსვენებულ იქმნა თავის მიწა-წყალზედ,—აშკარადა ჰმოწმობს ხსენებულ ჭეშმარიტებას. ამის გამო ვერ შემიძლიან საკმარისად დავაფასო ის ჩინებული აზრი, რომლიც წარმოსთქვა და გამოაცხადა, ქ-ნმა ეკატერინე გაბაშვილისამ, რომ ბარათაშვილის სახელი ეწოდოს იმ ფონდს, რომელიც დღეს იკრიბება საქართველოში გ-ნ ხოშტარიას სანაქებო წინადადების თანახმად. ბარათაშვილის სახელი, უეჭველია, დიდს სამსახურს გაუწევს ამ ფონდსა, შეაყვარებს ქართველობას მისს დახმარების აზრსა. აგრეთვე, არ შემიძლიან არ ვინატრო აღსრულება იმ აზრისა, რომელიც გამოსთქვა ერთმა ჩემმა ნაცნობმა, რომ 25 აპრილი სამუდამოდ დაიდოს დღეო ნიკოლოზ ბარათაშვილის სახსენებლად, რომ ამ დღეს ქართველობა ყოველთვის შეიკრიბოს დაუვიწყარის თანამემამულის საფლავთან და გაიხსენოს დიდებულის პოეტის ანდერძი სამშობლოს სიყვარულისა...

სტ. ჭრელაშვილი.

გამოგეთხოვათ?

— სამი წელია.

— რისაგან გარდაიცვალა?

— დარდისაგან: ქმარი დაჰკარგა.

— ისიც გარდაიცვალა?

— არა, ცოლსა და ქორფა შვილს თავი დაანება და სხვა ქალს გაჰყვა.

— აპატია განსვენებულმა?

— არა, დასწყევლა სიკვდილის ჟამსა.

— თქვენა? თქვენც სწყევლით მამა თქვენსა?

— დედა ჩემმა დამაფიცა, არასოდეს არ აპატიოვო. ან რად უნდა ვაპატიო? მე არც-კი ვიცნობდი იმ უბედურს და არაოდეს არ მეცნობება. არაოდეს არ მინახავს იმისი ალერსი და მის სახელთან ერთად მაგონდება მხოლოდ ცრემლი, დარდი და ტანჯვა დედისა. ის დამნაშავეა, რომ ცრემლში და მწუხარებაში გავიზარდე და ობლად დავრჩი, მარტოდ-მარტო მთელს ქვეყანაში. მე მძულს ისა...

მაწანწალას პასუხად რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ თავი შეიმაგრა. უსაზღვრო მწუხარება, გამოუთქმელი დარდი, ხვეწნა-ვედრება ეხატებოდა თვალებში და ვერ გამოეთქვა-კი.

— გნებავთ-ეხლა აი იქ ფარდულში მოისვენეთ.

— არა, გმადლობთ! წარმოსთქვა მაწანწალამ და წამოდგა.

— მოისვენეთ და მერე წადით.

— არა, ქალაქში მელოდებიან. ჟანნა ძალას აღარ ატანს. მძიმედ მიდის კარებისაკენ მაწანწალა. ჟანნა აცილებს. კარებთან მივიდა გლახა. მობრუნდა და გულ-წრფელად სთხოვა.

— მიბოძეთ მოწყალება: მაკოცნინეთ ერთხელ.

ეს თხოვნა ისე გულ-წრფელად წარმოსთქვა მაწანწალამ, რომ ჟანნამ უარის თქმა ვერ მოახერხა, მიუახლოვდა და შუბლი მიუშვირა. მაწანწალამ ისეთის კრძალვით აკოცა შუბლზედ, თითქოს წმიდა ხატს ემთხვიაო.

მაწანწალა ხელებს იმტვრევს სასოწარკვეთილებით და ცრემლს ვეღარ იმაგრებს. ჟანნა ხედავს, რომ მაწანწალა სტირის და ვერ მიმხვდარა-კია, რა ატირებს უბედურს გლახას. და იმას-კი ეშინიან, რცხვენიან თავის ცრემლისა და ეუბნება ჟანნას:

— ოდესმე მეც მყავდა შვილი, სულ თქვენა ჰგავდით და ეხლა აღარა მყავს.

მიდის მაწანწალა.

ჟანნა აცილებს ქუჩის კარებამდე, გული სიბრალულით ევსება და ეს უცხო კაცი ეცოდება. მაწანწალა დრო და დრო უკან იხედება, თითქოს ჟანნას ემშვიდობებაო.

— საბრალო! — ოხვრით ამბობს ჟანნა და შინა ბრუნდება.

ა. ნ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამ ჟამად, როგორც მკითხველთაც ეცოდინებათ, საგანგებო კომისია არჩევს და იკვლევს, რა ტიპისა უნდა იყოს მომავალში ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა. ამ საქმეს, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. კომისიას შეუძლიან მხოლოდ სამ გვარად გადასწყვიტოს საქმე: ან სათავად-აზნაურო სკოლა ისევ ისეთი დარჩება, როგორც აქამდე იყო; ან გიმნაზიად უნდა გადაკეთდეს, ან არა და—სამეურნეო სასწავლებლად.

გაზეთი „Кавказъ“-ი სწერს ამის შესახებ:

ჩვენის აზრით, ამ საქმეში დიდი ფიქრი არ არის საჭირო. მართალია, გიმნაზიის სწავლა-განათლება, რომელიც უნივერსიტეტში სწავლის შემდეგ ეძლევს ყმაწვილ-კაცობას, მეტად საჭირო და სასარგებლოა, მეტადრე ქართველებისათვის, რომელთა შორის ბევრი არ არის უმაღლეს სასწავლებელში სწავლა დამთავრებული, მაგრამ, ჯერ ერთი ქართველთა ყმაწვილ-კაცობა ესლაც არ არის მოკლებული ამ საშუალებას, რადგანაც საქართველოში გიმნაზიები საკმაოდ მოიძებნება. მეორეც, თუ მართლა სათავად-აზნაურო სკოლა გიმნაზიად გადაკეთდა, ამ გიმნაზიაში სწავლა დამთავრებულთა და უნივერსიტეტში შესულ ყმაწვილ-კაცთა რიცხვი იმდენი არ იქმნება, რომ ღირდეს იმოდენა ფულის დახარჯვა გიმნაზიის შესანახად. დანარჩენნი ისევ ისე უსწავლელნი დარჩებიან, უმაღლესს სასწავლებელში სწავლას მოკლებულნი.

სხვა არა იყოს-რა, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ამ ჟამად ქართველებს ისე არ ესაჭიროებათ მკურნალები და იურისტები, როგორც მეურნეობის მცოდნენი.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ქართველთა თავად-აზნაურობისთვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა მეურნეობის გაუმჯობესობა, აშკარაა, რომ ქართველები უნდა სცდილობდნენ სამეურნეო სწავლის შეძენას. თუ სათავად-აზნაურო სკოლა გიმნაზიად გადააქციეს; გლეხ-კაცობას სრულიად არავითარს სარგებლობას არ მოუტანს. სულ სხვა იქმნება სამეურნეო სკოლა. მართალია, აქაც უმეტეს ნაწილად თავად-აზნაურთა შვილები მიიღებენ სწავლა-განათლებას, მაგრამ ამ სკოლას მაინც დიდი მნიშვნელობა ექმნება გლეხკაცობისთვის. მაგალითად ავიღოთ კრასნოუფის რეალური სასწავლებელი. ამ სასწავლებელში ორი განყოფილებაა, სამეურნეო და სატეხნიკო. ამიტომ ამ სკოლაში სწავლა დამთავრებულთ სრული საშუალება აქვთ უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისა, თუ მოისურვებენ ამას.

აღვნიშნავთ კიდევ შემდეგს გარემოებას.

გლეხკაცობა განზედ უდგება სხვა-და-სხვა სამეურნეო მანქანებს და რჩეობს ისევ მამა-პაპურ იარაღით მუშაობას. კრასნოუფის სასწავლებელში გროვდებოდა სხვა-და-სხვა სამეურნეო მანქანები და ამ მანქანებსა ხმარობდნენ. გლეხკაცობამ ნახა თავის თვალით ეს მანქნები, ნაყოფი მანქნების მუშაობისა, ჯერ თითონ გლეხნი ყიდულობდნენ მანქნებს სკოლის სახელოსნოდგან და შემდეგ თითონაც-კი გამართეს სახელოსნოები მანქნების გასაკეთებლად. საქმე ძლიერ კარგად წავიდა და სასწავლებელმა შემდეგ თავისი სახელოსნო დახურა, გლეხკაცების სახელოსნოს ხელს ნუ შევუშლითო.

გარდა ამისა სამეურნეო სკოლა კიდევ ბევრ ნაირად არის გამოსადეგი გლეხკაცობისთვის. სამეურნეო სკოლას შეუძლიან გასინჯოს მიწა და გამოიკვლიოს, სად როგორი ნადაგია, სად რა გვარი მწერი ახდენს მოსავალსა, როგორ უნდა ებრძოლოს ხალხი ამ მწერსა და სხვა. ერთის სიტყვით, აშკარაა, რომ სამეურნეო სასწავლებელს შეუძლიან ძლიერ დაეხმაროს გლეხკაცობას და მათ შორის სამეურნეო სწავლა გაავრცელოს.

სწორედ ასეთი სასწავლებელია საჭირო ამ ჟამად ქართველთა თავად-აზნაურობისათვის. თავად-აზნაურობამ არ უნდა დაივიწყოს, რომ იგი მოვალეა ზრუნავდეს ისეთ საქმისთვის, რომელიც უპირველესს საჭიროებას შეადგენს. ასეთ საჭიროებად უპირველეს ყოვლისა მიგვაჩნია სათავად-აზნაურო სკოლის გადაკეთება სამეურნეო სკოლად.

ზემოდ-მოყვანილი მოსაზრება აღნიშნულ გაზეთისა ახალი არ არის. ჩვენს გაზეთშიაც ბევრჯელა თქმულა, რამდენად საჭიროა ჩვენთვის სამეურნეო სწავლა-განათლება. კრასნოუფის სამეურნეო სკოლის მაგალითი და ის სარგებლობა, რომელიც მოუტანია ამ სკოლას გლეხ-კაცისათვის უფრო ნათლად გვიჩვენებს, რამდენად საჭიროა აწინდელ სათავად-აზნაურო სკოლის გადაკეთება სამეურნეო სკოლად, და არა გიმნაზიად, საიდგანაც მხოლოდ ერთი და ორი ყმაწვილი კაცი მიიღებს განათლებას.

## წვრილი ამბავი

1885 წელს მარკიზმა დე-ბლოკვილმა უანდერძა საფრანგეთის მთავრობას 300000 ფრანკი მაიაკის ასაშენად. ეს მაიაკი მარკიზის ანდერძისამებრ ისეთს ძლიერ საშიშ ადგილას უნდა იყოს აგებული, სადაც უფრო საჭიროა მოგზაურ გემს გზა გაუნათოს. ამ მაიაკს ზედ უნდა ეწეროს: ეს მაიაკი აგებულია მარკიზს პრინც დ'ეკმიულის სახელობაზედ, მის მოსიყვარულე ქალის ნაპოლეონ-და-დავუსაგან. ამ ჟამად საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა ეს მაიაკი ააგოს პენმარკზედ. მაიაკი განათებული იქმნება ელექტრონით. სიმაღლით 210 ფუტი. კარგს დარში ღამით მისი სინათლე 100 კილომეტრის სიშორეზედ მიაღწევს, ავდარში და ბურუსიან ღამეს-კი მხოლოდ 110 კილომეტრია.

ეს მაიაკი დაჯდა სულ 450,000 ფრანკი. აქედგან 150,000 ფრანკი თვით საფრანგეთის მთავრობამ დაადო.

— ჩინეთი, ან როგორც უწოდებენ, ზეციური სამეფო, ძლიერ განრისხებულია ამერიკელებზედ. ამას წინად გამოცხადა მოხსენებული, რომ ამერიკამ განიზრახა ჩინეთის ქვეშევრდომნი გამოაძევოს ამერიკიდგანაო. ეს განზრახვა გვარიად ეჭაშნიკად ჩინელებს და ვიდრე ამერიკა განზრახვას სისრულეში მოიყვანდა, თვითონ დაასწრეს და აღუკრძალეს ამერიკელებს ჩინეთში შეტანა ერბოსა, ზეთისა და სხვ.

18 ივნისს, საღამოს ექვს საათზედ, რიზინსკიდგან იაროსლავს მიმავალ გემს ცეცხლი წაეკიდა. დაიწვა ოთხმოცდა ათი კაცი. დროზედ რომ არ მიეშველებოდნენ მეორე გემი დაიღუპებოდა და რამდენსამე ას სულს იმსხვერპლიდა.

## წერილები რედაქციის მიმართ

შემდეგ სკოლების საქმეებზედ ბასიას ტფილისში ამა წელს, მე მქონდა შემთხვევა საქართველოს ბევრის კუთხეების დავლისა. თითქმის ყველგან გაუგონიათ, რომ სახელოვანის და მრავალის მხრით ჩვენის მამულის შვილებისაგან საუკუნოდ კეთილად მოსაგონარის თავ. გიორგი რომანის მის ერისთავიშვილის კეთილსავე და დაუვიწყარს მემკვიდრეს თავ. ზაქარია ერისთავს შეუწირავს მდიდარი მამული თავად-აზნაურის შვილების აღსაზრდელად. აგრედვე შეუტყვიათ ისიც, რომ თავად-აზნაურთ ამოურჩევიათ რამდენიმე პირნი, რომელთაც უნდა შეიმუშაონ ჩვენთვის საუკეთესოდ გამოსადეგ სკოლის წესდება, რომელიც უნდა წარუდგინონ საზოგადოებას დასამტკიცებლად. ესე უოკვლი გაგონება უმრავლეს თავად-აზნაურთ ღვთის-მოწყალებად მიაჩნიათ და არიან დიდ სიხარულში: ღარიბნი მისთვის, რომ ფიქრობენ; ეგები ჩვენ შვილებსაც ეშველოთ რამე და ქვეყანაში გაერიონო; მხოლოდ მდიდარნი მადლობასა სწირავენ ღმერთსა აღბად იმიტომ, რომ ეძლევათ შემთხვევა თავიანთ მოყვასთაც შეეწიონ და მათ გამოიყვანონ ღარიბნი მოზარდნი იმ სიბნელისაგან, რომელშიაც იმყოფებიან ჩვენ საქართველოში ათასობით ორივე სქესისანი და რომელთაც სწყურიანთ სწავლა-განათლება და არა რისაგან კი არა აქვთ ღონისძიება. მაგრამ ბევრნი ამასაც ფიქრობენ და მათთან მეც, თქვენი უმორჩილესი მონა, რომ მარტო ერთად-ერთი წყარო სასკოლო ფულისა, სათავად-აზნაურო ბანკი, არა კმარა, თუ ჩვენ თითონ ჩვენის ჯიბიდგან შემწეობა არა მივეცით-რა, ე. ი. ჩვენ უნდა უთუოდ ღონისძიება ვიხმაროთ, რომ მომავალ სკოლის ბედ-იღბალი მტკიცე და შეურყეველ ნიადაგზედ იყვეს დამყარებული; და აი ამისთვის არა კმარა ბანკის მოგებისაგან გადადებული ფული და, ჩემის აზრით ურიგო არ იქნება მივმართოთ შემდეგს საშუალებას, რომ სკოლის ბედი სასურველად იყვეს გადაწყვეტილი.

ჩვენ უნდა შევადგინოთ კეთილ-ნებობითი საზოგადოება სკოლის დახმარებისა. ამ საზოგადოებას უნდა ნება ჰქონდეს ფონდი დააარსოს, რაიცა ასაზრდოებს სკოლასა. ეს ფონდი შესდგება ამ საზოგადოების წევრებისაგან ფულის შეტანით, მაგალითად, სამის წლის განმავლობაში. თვითეული წევრი საწევრო ფულს გადიხდის იმოდენს, რასაც თვითონ გადასწყვეტს. მაგალითად: მე შევწირავ ამ სადვთო საქმისთვის სამასს მანეთს, რომელიც უნდა გადავიხადო სამის წლის განმავლობაში, ე. ი. წელიწადში ას-ასი მანეთი, სადაც საზოგადოება მიმართითებს. აბა, რასაკვირველია, მრავალნი არიან ჩემზედ უფრო მდიდრები, ჩემის შეძლების ტოლნიც და თუნდ უფრო ნაკლებნიც, გულ-უხვნი, რომელთაცა სწამთ, რომ მარტოდ-მარტო სწავლა განათლებას-და შეუძლიან ჩვენის დაცემულის ქვეყნის ფეხზედ დაყენება გონებით, ზნეობით და ქონებით. აი ამისთანა პირებმა უნდა შეადგინონ ზემოხსენებული საზოგადოება. ვინც-კი დააკვირდებოდა ჩვენს ცხოვრებას, ის ნათლად დაინახავდა, რომ ჩვენში თან-და-თან ვრცელდება საერთოდ მოქმედების აზრი; ეს გარემოება იმედს უნდა გვაძლევდეს, რომ ზემოხსენებულ საზოგადოების დაარსება მალ-და-მალ ადვილი უნდა იყვეს ჩვენში, მხოლოდ საჭიროა თაოსნობა და ამ საგნის უფრო დაწვრილებით გამორკვევა. და აი ამიტომ არის სასურველი რომ მცოდნე პირებმა, ვისაც უყვარს სამშობლო, გაზეთების საშუალებით წარმოთქვან ამ საგნის გამო თავიანთი აზრები. მხოლოდ ამ საქმეს დაგვიანება არ უნდა. კეთილგონიერება მოითხოვს ეს საქმე [illegible] მოვიყვანოთ აღსრულებაში. უმკვლეს დრ[illegible] იდგან [illegible] განხორციელებაში [illegible] ნებული მოწინავე წოდება ე. ი. [თავა]დ-აზნაურობა იყო. ნუ დავივიწყებთ ჩვენს უმცროსს ძმებსაც. მათი [illegible] თაღი წარმატება ჩვენს ბედნიერებად უნდა ჩავითვალოთ, ამას მოგვა[illegible] სენებთ იმ ხალხზედ, რომელიც ეკუთვნის თავად-აზნაურთა წოდებას, [მა]გრამ უძლევს დრო აქამდგან ჭირი [და] ლხინი ერთად გაგვიტარებია. მის წარმატებისთვისაც სალმთო მოვალეობა გვაქვს ვიფიქროთ. რა გზით და როგორც შეიძლება. გვითარებული მამულის შვილნი ამაზედაც წარმოსთქვამენ თავიანთ აზრს. ღვთის შეწევნით, იმედი [illegible] ყველა ქართველი, ვისაც სამშობლო უყვარს და თავ-მოყვარეობა აქვს, არავინ დადგებით უკან; გაუმშეიროდ ყველამ [illegible] დაუფასებელ საგანში მძიმად ხელი [illegible]თმანეთს. ყველამ თვალ წინ წარმოვიდგინოთ, რომ სიღარიბე და სიმდიდრე ძმება არიან, დღეს ერთს ესტუმრებია ხვალ—მეორეს. აუპყრათ ხელი დაუკვე[illegible] დრბლად ჩვენ ღარიბ ძმებს, შეძლებილებს ნუ შევაწუხებთ. გამოვზარდოთ მათი შვილები, რომელთაც შეეძლებათ მომავალში მოუტანონ სამსახური თავიანთ სამშობლოს. ვიმეორებთ, ამ საქმეს დაგვიანება არ უნდა. მცირედი ფულის შემწეობაც დიდ ნაყოფს მოგვიტანს. ნათქვამია: „ერმა რომ თითო [illegible] ძაფი გამოიმეტოს, ღარიბს პერანგი გამოუვაო“...

დურმიშხან ქურული

ჯალალ-ოღლი. 22 ივნისი 1893 წელი.

## დეპეშა

27 ივნისი

**პეტერბურგი.** საკომერციო სასამართლომ დღეს გარდასწყვიტა: „რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი აღიარებულ იქმნას გაკოტრებულად, დანიშნულ იქმნენ მზრუნველებად კენიგი და ბასკოვი; მზრუნველთა მოქმედების ზედამხედველად დანიშნულ იქმნას სასამართლოს წევრი ლოსოვსკი.

**ბელგრადი.** 24 დეპუტატმა სთხოვა სკუპჩინას, მინისტრად ნამყოფნი სამართალში იქმნან მიცემულნიო. მოხსენებაში ჩამოთვლილია მათი დანაშაული წინააღმდეგ კონსტიტუციისა და კანონებისა.

**პარიჟი.** ოფიციალურ გაზეთში დაბეჭდილია დეკრეტი 12 ივნისიდგან შემოღებულ სავაჭრო კონვენციისა საფრანგეთისა და რუსეთის შორის. პალატა არჩევს მოხსენებას დრეიფუსისა და ტენისას. რევილიონი ჰკიცხავს პოლიციის საქციელს ლათინთა უბანში, შრომის ბირჟის გაუქმებასა და საქმეში ჯარის გარევას, რაიცა სრულიად საჭირო არ იყოვო: (მარცხნივ ტაშის ცემაა). სოციალისტი დიუმე თხოულობს, მთავრობა სამართალში იქმნას მიცემულიო. დიუპუი ადის ტრიბუნაზედ დაიწყობს სიტყვას: ამ ბოლოს დროს მომხდარი ამბის გამო ძლიერა ვსწუხვარ (მარცხნივ ხმაურობაა, დიუპუის სიტყვას აწყვეტინებენ). დიუპუი განაგრძობს სიტყვას და ამბობს, რომ დრეიფუმა ლათინთა უბანში მომხდარი ამბავი ძლიერ გაა-

ზეიადაო. შემდეგ მინისტრმა სთქვა, რომ შრომის ბირჟის ხასიათი შეიცვალა და ბირჟის არსებობა თვით მუშებისათვის შეიქმნა საშიშიო. დასავლეთის დიუპუიმ სთქვა: შრომის ბირჟის გაუქმებით მთავრობამ აასრულა თავისი მოვალეობა, დაიცვა კანონი და მოქალაქეთა პატივის ცემა დაიმსახურაო. (ცენტრში ხანგრძლივი ტაშის ცემაა, დიუპუის ოვაცია გაუმართეს).

**ბერლინი.** რეიხსტაგი არჩევს სამხედრო კანონ-პროექტს. ცენტრის წევრი გრებერი ამბობს, ჩემმა დასმა გადასწყვიტა ახლაც ისე მოექცეს კანონ-პროექტს, როგორც პირველად მოექცაო. ბენიგსენი ამტკიცებს, ჯარის მომატება გერმანიისთვის იმიტომ არის საჭირო, რომ მეზობელი სახელმწიფოები ჯარს უმატებენ. ელზასელი პრეისი და რიხტერი კანონ-პროექტის წინააღმდეგნი არიან. ბეკლი ამბობს, მხოლოდ იმ პირობით შევიწყნარებთ კანონ-პროექტს, თუ მთავრობა სიტყვას მოგვცემს, რომ ამ შეწყნარების გამო ცხოვრებისთვის აუცილებელი საგნები არ დაძვირდებაო. პოლშელი იადშევსკი ამბობს, ჩემი დასი კანონ-პროეტს შეიწყნარებსო. რიკერტიც იწონებს პროექტს. პროექტის მეორედ განხილვა დანიშნულია ხუთშაბათს.

28 ივნისი

**პეტერბურგი.** დამტკიცებული 19 ივნისს პეტერბურგში სავაჭრო კონვენცია რუს-ფრანგთა შორის დაიწყებს მოქმედებას 30 ივნისს. უკეთუ ჩვენი მთავრობა საჭიროდ დაინახავს ორგვარის ბაჟის შემოღება, საფრანგეთის ნაწარმოებს უმცირესი ბაჟი გარდახდება. შემდეგ გამოირკვევა, რა საქონელს რა ბაჟი უნდა გარდახდეს ფრანკითა თუ მანეთით.

„მართებლობის უწყებაში“ დაბეჭდილია: „პსკოვის სასულიერო სემინარიის მე 5 კლასის მოწაფე ვლადიმერ გიაცინტოვი, დათხოვნილი პეტერბურგს დაავადებულ ფეხის მოსარჩენად, კლინიკიდგან გამოსვლის მეორე დღეს, წავიდა ცარსკოე სელოში, მივიდა უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის სადგურში, როგორც მთხოვნელი, და კიპპობედონოსცევის მოკვლა განიზრახა, ხოლო იქვე ახლო მყოფ მოსამსახურეების მიერ შეკავებულ იქმნა. დამნაშავე სასამართლოს გარდაეცა“.

**ლონდონი.** ლონდონის ქალაქის წარმომადგენელთ გუშინ დიდის ამბით მიართვეს დანიის მეფეს ოქროს კოლოფით დიპლომი საპატიო მოქალაქისა. ადრესში მოხსენებულია საუკუნო მკვიდრი მეგობრობა ორ სახელმწიფოს შორის; მეფემ მადლობა გადუხადა და დასძინა, რომ როგორც თანამოაზრე ვიყავ ბრიტანიის ხალხის მწუხარებაში, აგრეთვე თანამოაზრე ვარ მის სიხარულშიაც, ვფიქრობ-რა ახლად დაქორწინებულ მეფე-დედოფალზედ, რომელთაც იმედით შეჰყურებს ამდონი მილიონი ხალხიო. მეფემ თავისი სიტყვა დაასრულა სურვილით, რომ ბრიტანიის სამეფო ყოვლად ბედნიერი იყოს.

საუზმეს დაესწრო 700—800 სტუმარი, მათ შორის დანიის მეფე-დედოფალი, პრინც ვოლდემარითურთ მემკვიდრე ცესარევიჩი და პრინცი უელსისა მეუღლითურთ. ცესარევიჩი უელსის პრინცესასა და პრინცესა მოდს შუა იჯდა. დანიის მეფე-დედოფლის სადღეგრძელოს შემდეგ ლორდ-მერმა წარმოსთქვა სადღეგრძელო მემკვიდრე ცესარევიჩისა და მოახსენა: „კეთილ იყოს თქვენი მობრძანებაო“, და დასძინა, რომ მემკვიდრე ცესარევიჩი მობრძანდა არა საპოლიტიკო განზრახვით, არამედ როგორც ნათესავი სამეფო სახლისა. „ვისურვებთ მისთვის ყოვლად ბედნიერებასო“. ორკესტრმა რუსული სახალხო საგალობელი დაუკრა. მემკვიდრე ცესარევიჩმა მადლობა გადუხადა და სთქვა, იმედი მაქვს, რომ მეგობრული გრძნობა რუსთა და ინგლისის სამეფო სახლთა შორის ორ ხალხს შორისაც დამყარდებაო. დანიის მეფე დანიის საადმირალო მუნდირით იყო და მუხლთ-საკრავის ორდენით შემკული; მემკვიდრე ცესარევიჩი—ატამანის მუნდირით და აგრეთვე მუხლ-საკრავ ორდენით.

პეტერბურგის ბირჟა, 25 ივნისი.

| | მყიდვე-ლისა | გაყიდ-ული | გამყიდ-ველისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,55 | 7,57 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 150 /2 | 151 1/2 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 4% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — „ | — „ | 194 3/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%. . . . . | — „ | 101 1/4 | — „ |
| 5%. . . . . . | — „ | 100 1/4 | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — „ | 101 1/4 | — „ |
| 5%. . . . . . | — „ | 100 1/4 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | 98 1/2 |

## „ივერიის“ ფოსტა

**მარკანელს.** თქვენ მიერ გამოგზავნილს ხალხურ ლექსებს ვერ ვბეჭდავთ: ვერ არის კარგად დაწერილი; ზოგან აკლია თითქო, ზოგან მეტია; არც მართლ-წერაა დაცული, არც რითმი სჩანს ზოგან და არც ლექსობა ეტყობა.

**ც—ლს.** ლექსი „მიბაძვა“ არ დაიბეჭდება.

**კ. ჯ—ძეს.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**ს. ბ—ას. დ. ხ—ს.** სასულიერო საქმეთათვის ორი სასულიერო გაზეთი არსებობს: „მწყემსი“ და „მოამბე საქართველოს საეგზარხოსოსი“. ამას გარდა, არის სასულიერო მთავრობა, რომელსაც უნდა მიჰმართოს ყველამ, ვისაც რამ სადავო სასულიერო საქმე აქვს, ან საჩივარი, ან სხვა რამ ამ გვარი.

## სასარგებლო ცნობანი

როგორ უნდა სვას კაცმა რძე. რძის დალევა უცბად, [illegible] ბლომად, ძალიან მავნებელია. რძე უნდა დალიოს კაცმა ნელ ნელა, თითო-თითო [illegible]. ერთის ჭიქის დალევას ხუთი წუთი მაინც უნდა მოუნდეს. ამ სახით დალევა რძისა ძალიან მარგებელია; რძეს მაშინ ითვისებს სტომაქი და არავითარს სიმძიმეს აღარ გრძნობს კუჭი.

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში ვირაობით ღამის 2 საათზე, შორის. გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: სალამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც


# განცხადებანი

ისყიდება ტფილისში „ქართველთა ამხანაგობის“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.
გორში არსენ კალანდაძესთან.
ქუთაისში: ი. ხეთერელისა და წერაეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში ბ. კალანდაძესთან.

**ქრისტინე**

მოთხრობა

**ე. ნინოშვილისა**

გამოცემული

პ. გოგუაძისა და დ. ქვლივიძის მიერ

**ფასი ერთი აბაზი**

# პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, 11 1/2—12 1/2 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

მ. ზ. ქანანოვი, 12 1/2—1 საათამდის, სნეულებანი: საბ ებრო და დედათ სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1 1/2 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სალამოობით მიიღებენ:

ა. მ. ფუგინოვი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: ბავშვებისა და შინაგანი.

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7 1/2 საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—7 1/2 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზელვით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.




ტფილ. გამოფენა

ვერცხლისა

ოქროსი

# ძოძორი თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრეთვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20%-ის ზეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონელის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნების შოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—22) ძღ. თუთაევი

# რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

**(ძირის ფული 1.000,000 მან.)**

ისყიდება 5%-იანი **მომგებიანი ბილეთები** I, II, და III სესხისა თვეში **ხუთ-ხუთ მანათის** გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტ-მეტიც იხადონ თვე-და-თვე.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ **15 მანათისა**.

კუპონები ხრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა **65 კაპ.**

სააგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9 საათიდამ 2 საათამდე.

(50—36) აგენტი დ. ქ. თუთაევი.